



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება #59

2015 წელი 3 ივლისი

ქ. დუშეთი

**დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში
გაწეული მუშაობის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი, მე-2 პუნქტებისა და ამავე კოდექსის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტების შესაბამისად დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

1.დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ მიღებულ იქნეს ცნობად.

2.დაევალოს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიებს, განიხილონ და იმსჯელონ გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებულ საკითხებზე და საკრებულოს გააცნონ თავიანთი ხედვა.

3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი